პრესრელიზი

23-24 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის მიერ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში წარდგენილი პროექტის ფარგლებში თსუ-ის პირველ კორპუსში გაიმართება სტუდენტური კინო-ტელე ფორუმი - „ ვიზუალური აზროვნების კულტურის განვითარება“.
ფორუმის ფორმატით გათვალისწინებულია თსუ-ის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ნამუშევრების წარდგენა/ჩვენება.
ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ და დაინტერესებულ სტუდენტებს საკუთარ გამოცდილებას ინტერაქტიურ რეჟიმში გაუზიარებენ დარგის წამყვანი სპეციალისტები.

თამარ გაბრიჩიძე - რეჟისორი, პროდიუსერი. მის ფილმებს მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი პრიზი სანდენსის ფესტივალზე.
მისი ფილმი „სოვდაგარი“ არის პირველი ქართული დოკუმენტური კინო, რომლის მსოფლიო დისტრიბუციის უფლება კომპანია ნეთფლიქსმა შეიძინა.
კოტე ჯანდიერი - მწერალი, სცენარისტი. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე-ფილმების სტუდიის დირექტორი, მრავალი ლიტერატურული პრემიის მფლობელი.
სანდრო გაბილაია - აღმასრულებელი პროდიუსერი, რეჟისორი.
Metro Production-ის დამფუძნებელი, JWT Metro-ს აღმასრულებელი პროდიუსერი, Cannes Lions Azerbaijan-ის ჟიურის წევრი. მრავალ საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული ფილმებისა და სარეკლამო რგოლების აღმასრულებელი პროდიუსერი.

ფორუმის დასასრულ, მოეწყობა „მრგვალი მაგიდა“ სამომავლო თანამშრომლობის, გეგმებისა და მიზნების დასახვის თაობაზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center
UNIVERSITAS TBILISIENSIS 1918
მულტიმედიის ცენტრი